ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 27 თებერვლის №24.242305512 ბრძანებით დამტკიცებული ზუგდიდის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ბავშვებისა და ახალგაზრდების შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობის უზრუნველყოფის მიზნით შექმნილი კომისიის სხდომა

სხდომის ოქმი N4

ზუგდიდი, 13 აპრილი 2023 წელი

სხდომის ადგილი: ზუგდიდის ტექნოპარკი. სხდომის დაწყების დრო 15:00 საათი.

დღის წესრიგი

1. ანუკი ასათიანის განცხადების განხილვა.
   განსახილველად შემოგვაქვს ზუგდიდის ტექნოპარკის მენეჯერის ანუკი ასათიანის განცხადებები (მერიაში რეგისტრაციის ნომერი N:10/242308711-24, N:10/2423095185-24), რომელიც ეხება ზუგდიდის ტექნოპარკში განხოციელებული პროექტის „Hardware Startup ინკუბატორი" მეორე ადგილზე გასული გუნდისთვის „robotech" ფულადი ჯილდოს გაცემას. საბუნებისმეტყველო ტექნიკური, ჰუმანიტრულ და ტექნოლოგიურ სფეროებში განსაკუთრებული შესაძლებლობების და მიღწევების მქონე ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის ფულადი ჯილდოს გაცემა (**მუხლი N8**).

სხდომის თავმჯდომარე:

კონსტანტინე კაკავა- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე- კომისიის თავმჯდომარე.

კომისიის მდივანი:

ბელა ხუბუა - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის III რანგის II კატეგორიის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის განათლების განყოფილების უფროსი სპეციალისტი- კომისიის მდივანი.

სხდომას ესწრებოდნენ:

- **ზამირა ღადუა** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის მოადგილე - კომისიის წევრი;
- **კობა ჯიქია** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის უფროსი - კომისიის წევრი;
- **გიგლა სულამანიძე**-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის-განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის განათლების განყოფილების უფროსი - კომისიის წევრი;
- **ზაზა გაბისონია**- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის III რანგის I კატეგორიის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის განათლების განყოფილების უფროსი სპეციალისტი - კომისიის წევრი;
- **ნათია ფიფია** - ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების დირექტორი - კომისიის წევრი.
- **ია ეხვაია** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის-სოციალურის და ჯანდაცვის სამსახურის ბავშვთა უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილების უფროსი- კომისიის წევრი.
- **ნინო სიჭინავა** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის-განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების უფროსი - კომისიის წევრი;
- **მამუკა ბულია** - ქალაქ ზუგდიდის საგანმანათლებლო რესურცენტრის უფროსის ფუნქციათა შემსრულებელი-კომისიის წევრი;
- **ბელა ხუბუა**- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის III რანგის II კატეგორიის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის განათლების განყოფილების უფროსი სპეციალისტი- კომისიის მდივანი.

კომისიის სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდა:

- **იდა ქვარაია** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი-კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;
- **მონიკა შამათავა** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის III რანგის I კატეგორიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი სპეციალისტი - კომისიის წევრი;

სხდომის თავმჯდომარემ გახსნა სხდომა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი.

მოისმინეს: ზუგდიდის ტექნოპარკის მენეჯერის ანუკი ასათიანის განცხადებები (მერიაში რეგისტრაციის ნომერი N:10/242308711-24, N:10/2423095185-24) ზუგდიდის ტექნოპარკში განხოციელებული პროექტის „Hardware Startup ინკუბატორი"-ში მეორე ადგილზე გასულ გუნდისთვის „robotech" ფულადი ჯილდოს გაცემის შესახებ.

მომხსენებელმა გიგლა სულამანიძემ კომისიას გააცნო წარმოდგენილი დოკუმენტები რომელიც სრულყოფილია და შეესაბამება ბავშვებისა და ახალგაზრდების შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის წესს.

აზრი გამოთქვეს:

კონსტანტინე კაკავა- ჩვენ ნიჭიერი და განვითრებული მომავალი თაობა გვყავს. თქვენ ხართ ახალგაზრდები, რომლებიც ქმნით სიახლეებს და ფიქრობთ კიდევ მეტად განვითარებაზე. რასაც ეს ახალგაზრდები აკეთებენ არის ჩვენი ქალაქისთვის სიახლე, რასაც მივესალმები და მუდამ მზად იქნება ეს კომისია ხელი შეუწყოს მათი იდეების განვითარებას და დანერგვას თანამედროვე ტექნოლოგიების კუთხით.

ზამირა ღადუა- ეს ახალგაზრდები რასაც ქმნიან არის ის მიმართულება, რაც ნამდვილად სჭირდება ჩვენს ქვეყანას და ქალაქს. ეს არის ნამდვილად სიახლე და ვფიქრობ მომავალი თაობა აუწყობს ფეხს და უფრო განვითარდებიან ამ მიმართულებით. თავიანთ შესაძლებლობების მაქსიმუმს გამოავლენენ.

ნინო სიჭინავა- მე როგორც ახალგაზრდობის წარმომადგენელი, მიხარია ასეთი თაობის ხილვა და მათი წარმატება. ყოველთვის მხარს დაუჭერ მათ განვითარებას.

კომისიის წევრების მიერ ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ბავშვებისა და ახალგაზრდების შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის განხორციელების წესის შესაბამისად, გაიცეს ფულადი ჯილდო პროექტის „Hardware Startup ინკუბატორი"-ში მეორე ადგილზე გასულ გუნდ „robotech"-ის წევრებზე. **(არაფორმალური განათლებისა და პროფესიული შესაძლებლობების განვითარების ფინანსური ხელშეწყობა მუხლი N7 შესაბამისად).**

გადაწყვეტილება:

1.გიგი გამსახურდიას ფულადი ჯილდოს სახით გამოეყოს 500 ლარი.
2.სესილი ბერიშვილს ფულადი ჯილდოს სახით გამოეყოს 500 ლარი.
3.ნინიკო შარიას ფულადი ჯილდოს სახით გამოეყოს 500 ლარი.
4.მარიამი კილასონიას ფულადი ჯილდოს სახით გამოეყოს 500 ლარი.

სხდომა დახურულად გამოცხადდა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის დასრულებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე:

კონსტანტინე კაკავა

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე:

ზამირა ღადუა

კომისიის წევრები:

კობა ჯიქია

გიგლა სულამანიძე

ზაზა გაბისონია

ნათია ფიფია

მამუკა ბულია

ნინო სიჭინავა

ია ეხვაია

კომისიის მდივანი:

ბელა ხუბუა